

მანია ყიფიანი  
ირაკლი გაბისონია  
ციალა გლოველი

ოჯახში ძალადობის  
პრობლემები საქართველოში



თბილისი, 2018  
გამომცემლობა „იურისტების საგმარო“

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის მიერ დამტკიცებული კვლევითი პროექტის „ოჯახური ძალადობის პრობლემები საქართველოში“ ფარგლებში გამოცემულ დამხმარე სახელმძღვანელოს.

**პროექტის ხელმძღვანელი: პროფესორი მაია ყიფიანი**

**პროექტის წევრები: პროფესორი ირაკლი გაბისონია,**

**პროფესორი ციალა გლოველი**

**რედაქტორი: პროფესორი ჯემალ გაბელია**

**რეცენზენტი: პროფესორი ქეთევან ჯინჭარაძე**

**ტექნიკური უზრუნველყოფა: მარინა ჩხარტიშვილი,**

**დავით სამარლანიშვილი**

© გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2018

© მაია ყიფიანი, ირაკლი გაბისონია, ციალა გლოველი, 2018



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას #75; 0171

ტელ: (+995 032)238 35 99; (+995)557 51 51 34

ვებ-გვერდი: [www.law.ge](http://www.law.ge)

ელ-ფოსტა: [Info@law.ge](mailto:Info@law.ge)

[www.facebook.com/PublishingWorldofLawyers](http://www.facebook.com/PublishingWorldofLawyers)

ISBN 978-9941-9561-6-4

## სარჩევი

ოჯახში ძალადობის სათავეებთან .....	7
ქალი და ოჯახი ქართულ ეთნოგრაფიაში.....	26
ქალთა ქონებრივი მდგომარეობის ზოგიერთი ასპექტები საქართველოში .....	39
ოჯახში ძალადობა ქართულ რეალობაში.....	46
რეკომენდაციები .....	60
ოჯახში ძალადობა ქართულ კანონმდებლობაში .....	62
ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ .....	82
ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია .....	140
საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობისა ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ .....	164
საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობით (ტრეფიკინგის)წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ .....	209
საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ .....	242
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებში .....	282
რეზიუმე .....	326
გამოყენებული ლიტერატურა .....	329



## წინათქმა

კაცობრიობამ თავისი განვითარების მანძილზე არაერთი ქარტახილი გამოიარა. იყო დიდი ტრანსფორმაციების, სტაბილურობისა თუ სტაგნაციის პერიოდები, მაგრამ ყველა ეპოქა უნიკალურია, თავისი ხელწერა აქვს და განსაკუთრებული ელფერი დაჰკრავს. გავადევნოთ თვალი ისტორიას და მოკლედ შევჩერდეთ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენებზე, რომლებმაც შეცვალეს საზოგადოების ცხოვრება. პირველყოფილი წყობილების პერიოდში, კერძოდ ახალი ქვის ხანაში, მოხდა უდიდესი ცვლილება, რომელსაც მეცნიერებმა „ნეოლითური რევოლუცია“ უწოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ახალმა ქვის ხანამ მხოლოდ 3 ათასი წელი იარსება, საკაცობრიო საგანძურში გაცილებით მეტი და ფასეული შეიტანა, ვიდრე წინამორბედმა საზოგადოებებმა ერთად აღებულია, რადგან სოციუმში მოხდა თვისობრივი ცვლილება, უდიდესი ნახტომი-მიმთვისებლური მეურნეობიდან ადამიანი გადავიდა მწარმოებლურზე. თუ მანამდე მთავარი როლი ქალს ეკისრებოდა, ახლა სიტუაცია შეიცვალა, მამაკაცმა წინ წამოიწია, წარმოიქმნა პატრიარქალური აზროვნება, სტანდარტები, სტეროტიპები, „კლიშეები“, დადგა მამაკაცის ბატონობის ხანა. გამოხდა ხანი, მე-18 საუკუნიდან იწყება კიდევ ერთი უდიდესი გარდატეხის პერიოდი, სათავეს იღებს „სამრეწველო რევოლუცია“, ადამიანის ფიზიკური შრომა იცვლება მანქანურით, ფაბრიკა-ქარხნებში მამაკაცების გვერდით ჩნდებიან ქალი მუშები, ისინი თანდათან ეკონომიკურად დამოუკიდებელი ხდებიან, დაახლოებით ამ პერიოდს ემთხვევა ქალთა სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის საწყისი ეტაპი, ქალმუშათა პირველი გაფიცვები და სხვა აქტივობები. მე-20 საუკუნის შუა ხანებიდან მსოფლიოში უკვე ფეხს იკიდებს ავტომატიზირებული მანქანა-დანადგარების დანერგვა, კიბერ-ტექნოლოგიების განვითარება, კვლავ ახალი ნახტომი კაცობრიობის განვითარებაში, იწყება „საინფორმაციო რევოლუცია“, რომელიც ძირეულად ცვლის ცხოვრების წესს. სამყარო დაპატარავდა, აჩქარდა, კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა შესაძლებელი გახადა მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხების უმოკლეს დროში გადანყვება. ეპოქის ახალმა გამონ-

ვევებმა ფიზიკურად სუსტი ქალის როლი კვლავ წინ წამოსწია, იგი უფრო აქტიური, წარმატებული და რეალიზებული გახადა. დემოკრატიული ფასეულობებისა და სხვა მიზეზების გათვალისწინებით დღის წესრიგში დადგა მამაკაცსა და ქალს შორის თანასწორობის საკითხის არა მხოლოდ კანონში დეკლარირება, არამედ ცხოვრებაში გატარება, იმ სტერეოტიპების დამსხვრევა, რომელიც საზოგადოებას რეალობის აღქმაში ხელს უშლის.

წინამდებარე ნაშრომის ავტორთა ჯგუფი შეეცადა კომპლექსურად შეესწავლა საკითხი. მოიძია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში არსებული ყველა ის კანონი, რომელიც ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღკვეთას უკავშირდება, იმ ფაქტის ხაზგასასმელად, რომ სახელმწიფო აღიარებს ოჯახში ძალადობას სისხლის სამართლის საქმედ, რომ ოჯახში ძალადობა არ არის მხოლოდ პრივატული საქმე და რომ ის სახელმწიფოს ზრუნვის საგანია. იმის მიუხედავად, რომ 2006 წლიდან არსებობს „ოჯახური ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონი, საზოგადოება პრობლემას ადეკვატურად ვერ აღიქვამს. ჩვენი მიზანია ჩავწვდეთ იმ მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლის ოჯახში ძალადობის საკითხის საზოგადოების ფართო ფენებისათვის აქტუალიზაციას. აღნიშნულის მისაღწევად, შევადგინეთ წინამდებარე სახელმძღვანელო, შევისწავლეთ საოჯახო ურთიერთობების ამსახველი სამეცნიერო ეთნოგრაფიული და ისტორიული მასალა, შევაჯერეთ და ახალ პრიზმაში დანახული წარმოგიდგინეთ. იმის დასადასტურებლად, რომ მსოფლიოში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა უაღრესად აქტუალური საკითხთაგანია, წარმოვადგინეთ ყველა ის საქმე, რომელიც განხილულია ან ამჟამად განიხილება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

დღეს, საქართველო ახალ სახელმწიფოს აშენებს, ახალ გამოწვევებს ახალი ცნობიერების მქონე ადამიანები ესაჭიროება, აღნიშნულის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი საშუალება განათლების დონის ამაღლებაა. ნაშრომი, სწორედ ამ საქმეს ემსახურება.

## ოჯახში ძალადობის სათავეებთან

თანამედროვე საქართველოში სულ უფრო მატულობს არა მარტო ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალთა რიცხვი, არამედ, მოკლულ ქალთა რაოდენობაც. საკითხი მეტად მტკივნეული და მრავალმხრივია, საჭიროებს კომპლექსურ კვლევას, იმ პრობლემათა ჯაჭვის დადგენას, რომელიც შესაძლოა იმ მიზეზებამდე ან კანონზომიერებამდე მიგვიყვანს, რომლებიც ქალთა დისკრიმინაციისა და ფემიციდის გამომწვევია.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ფემინისტური მოძრაობის მეორე ტალღის გააქტიურების შემდეგ, 1970 წლიდან იღებს სათავეს. ამ პერიოდიდანვე იწყება ძალადობისაგან ქალის დაცვის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის, საერთაშორისო და ეროვნული ( ახალი ) კანონმდებლობის შემუშავება. რაც შეეხება საქართველოს, იგი 1991 წლიდან, დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე შეუერთდა ყველა საერთაშორისო კონვენციას, რომელიც იმ დროისათვის იყო აღიარებული, განსაკუთრებით გააქტიურდა არასამთავრობო სექტორი. 2006 წლიდან გამოიცა „ოჯახური ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონი. მიუხედავად განუთქმობი შრომისა, ქალთა მიმართ ძალადობა ოჯახში, სულ უფრო ფართო მასშტაბებს ღებულობს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით 2013 წელს მოკლულია 3 ქალი, 2014-ში 7, 2015-ში 5, 2016-ში 10, 2017 წელს 8.<sup>1</sup> სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ქალთა მკვლევლობების მონაცემები ერთმნიშვნელოვნად შემაშფოთებელი და დასაფიქრებელია.

საქართველოში ოჯახში ძალადობის, კერძოდ ქალებზე ძალადობის მიზეზების გასარკვევად საჭიროდ მიგვაჩნია სხვადასხვა რაკურსიდან შევისწავლოთ საკითხი-გავაანალიზოთ ოჯახის ფენომენი, ქალის როლი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ-სამართლებრივ ქრილში, ძალადობის არსი და ჩვენში არსებული ტრადიციები, შეხედულებები, სტერეოტიპები, მათი ტრანსფორმაციის საფუძველი, შევაჯეროთ მოპოვებული მასალა და გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები.

1 [www. police .ge](http://www.police.ge) უკანასკნელად გადამონმებულია 2018 წლის 6 თებერვალს

ოჯახი საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრების მეტად რთული და მრავალმხრივი ფენომენია. მისი განვითარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციუმის ევოლუციის პროცესში. „იგი სოციალური ინსტიტუტია, საზოგადოების მცირე ერთეული, რომელიც აღმოცენდა პირველყოფილ საზოგადოებაში, შუა პალეოლითის პერიოდში, ქორწინების ინსტიტუტის წარმოშობასთან ერთად. ოჯახის წევრები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ცხოვრების ერთიანი წესით, ურთიერთმხარდაჭერითა და მორალური პასუხისმგებლობით. მისი არსებობის სოციალურ აუცილებლობას განაპირობებს საზოგადოების ფიზიკური და სულიერი განახლების მოთხოვნილება. აღნიშნული სოციალური ერთეულის ბიოლოგიური საწყისი ქორწინება და შობადობაა“.<sup>2</sup>

საზოგადოებაში ოჯახს, როგორც მკაფიოდ გამოხატულ სპეციფიკურ ქვესისტემას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან იგი ინახავს და იმავდროულად ირეკლავს სოციუმში მიმდინარე მთელ რიგ სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებს. აღნიშნული განაპირობებს მის ერთი მხრივ მდგრადობას, ხოლო მეორე მხრივ ცვალებადობას. ოჯახი ერის ცხოვრების სარკეა, მისი დადებითი და უარყოფითი გამოვლინებების ამსახველი, აქვს წარსული, აწმყო, ხოლო მომავალი ამ ორი უკანასკნელის შერწყმის შედეგზეა დამოკიდებული. ოჯახი აყალიბებს და აერთიანებს ისეთი ტიპის ურთიერთობებს, როგორიცაა „სოცალური და ბიოლოგიური, ინდივიდუალური და კოლექტიური, ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური, ეკონომიკური და მორალური და სხვა. ამიტომ მეცნიერების სხვადასხვა დარგებს ოჯახის კვლევისადმი თავისი გარკვეული ინტერესი გააჩნია. მაგალითად ეთნოგრაფიული მეცნიერება ოჯახს სწავლობს, როგორც ყოფა-ცხოვრების ერთ-ერთ მხარეს და მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ადგენს. ეკონომიკური მეცნიერების მიზანია ოჯახის წევრებს შორის ოჯახის ბიუჯეტის, საოჯახო წარმოებისა და მოხმარების, ეკონომიკური და სხვა ურთიერთობების შესწავლა. ოჯახთან დაკავშირებით, სამართლის კვლევის ობიექტია, საზოგადოებისათვის სასურველი სამართლებრივი ნორმების დადგენა. ფსიქოლოგია შეისწავლის

---

2 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 7, თბ.1994, გვ.626



ოჯახის წევრების ურთიერთობებში გამოვლენილ განწყობებს, ჩვევებს და მათ გამომწვევ მიზეზებს. ოჯახის კვლევის საკითხებითაა დაკავებული ისეთი მეცნიერებები როგორცაა: მედიცინა, პედაგოგიკა, დემოგრაფია, სექსოლოგია და, რა თქმა უნდა, სოციოლოგია. ეს უკანასკნელი ოჯახს იკვლევს, როგორც **მთლიან სოციალურ მოვლენას**, მისი განვითარებისა და პერსპექტივების კანონზომიერებისა და სხვა სოციალურ მოვლენებთან ერთიანობის თვალსაზრისით“.<sup>3</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ ოჯახში ძალადობა სცნო დანაშაულად და გამოსცა მთელი რიგი კანონები, აღნიშნული საკითხი ჩვენში სამწუხაროდ დღემდე აღიქმება, როგორც კერძო საქმე და არა, როგორც საზოგადო. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ დასახელებული **მეცნიერებებისათვის ოჯახის ფენომენის კვლევა არამარტო კონკრეტულად ოჯახის, არამედ მთელი საზოგადოების განვითარების საკითხების შესწავლაა, ოჯახში ძალადობა მხოლოდ ოჯახის პრობლემა არ არის, იგი საზოგადოების პრობლემაცაა და მოითხოვს მის გააქტიურებას .**

როგორც, 1976 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „თანამედროვე ოჯახი და მისი პრობლემები“ ავტორები ა. ხარჩაევი და ნ. მაცკოვსკი აღნიშნავენ „ოჯახი სოციალური კონტროლის საერთოდ პირველადი კერაა. ამ მხრივ იგი ერთგვარად ასრულებს საზოგადოების მართვისა და რეგულირების მრავალმნიშვნელოვან როლს“<sup>4</sup>. „საზოგადოების ღირებულებები, როგორც წესი იჭრებიან, ფეხს იკიდებენ ადამიანის შეგნებაში, თავისებურად გადამუშავდებიან ოჯახის ფსიქოლოგიური ატმოსფეროს მიხედვით და კვლავ საზოგადოებას უბრუნდებიან.“<sup>5</sup> „ოჯახი მთელი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს უკავშირდება“.<sup>6</sup> ადამიანთა ყოფა-ცხოვრება დინამიურია, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, გარდამავალი პერიოდის სიმძიმე, ინვევენ სოციალურ ცვლილებებს, იქმნება დაძაბულო-

3 მ. ბექაია, ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, თბ., 1980, გვ. 4-5  
4 А.Г. Хачанов, М.С. Мацковский, Современная семья и ее проблемы, М., 1979, гв. 40  
5 მ. ბექაია, დასახ. ნაშრომი, გვ.36  
6 მ. ბექაია, დასახ. ნაშრომი, გვ.3

ბის კერები, გაუგებრობები, კონფლიქტები, დაპირისპირებები. შესაბამისად ოჯახი, როგორც საზოგადოების განუყოფელი ნაწილი ტრანსფორმირდება, მისი წევრები საჭიროებისამებრ იცვლიან როლებს, აღნიშნული პროცესი რთულად მიმდინარეობს, იქმნება ქაოტური მდგომარეობა, რომელსაც სხვადასხვა ტიპის გამოვლინებები ახასიათებს. მათ შორის საოჯახო კონფლიქტი, ოჯახების დაშლა, ფემიციდის შემთხვევები და სხვა.

ოჯახის შესწავლას საფუძველი ჩაეყარა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, მას სხვადასხვა დროს იკვლევდნენ ლ. მორგანი, ფ. ენგელსი, ლ. შტერნბერგი, მ. კოსმანი, ა. პერშიცი, ი. ბრომლეი და სხვები. საოჯახო საკითხთა დიდი მკვლევრის ლუის მორგანის აზრით „ოჯახი აქტიური ელემენტია, იგი არასდროსაა ერთ ადგილზე გაყინული, იგი დაბალი საფეხურიდან მაღლისაკენ, იმ მოცულობით ვითარდება, რა მოცულობითაც იზრდება საზოგადოება.“<sup>7</sup> „ოჯახი სახელმწიფოს საფუძველია“<sup>8</sup> ამბობდა ფრიდრიხ ენლგესი. ოჯახის განვითარების პირველყოფილი ფორმების შესახებ მრავალი თეორია არსებობს. მეცნიერებაში აღიარებულია, რომ ოჯახის წარმოშობა (შუა პალეოლითი), განვითარება და მისი სხვადასხვა ფორმების არსებობა დაკავშირებულია საზოგადოების სოციალ-ეკონომიკურ განვითარებასთან და სქესობრივი ურთიერთობების შეზღუდვის ეტაპებთან. „ოჯახის წარმოქმნამდე არსებობდა უნესრიგო, შეუზღუდავი სქესობრივი ურთიერთობები, შემდეგ ჯგუფური, მოგვიანებით კი წყვილადი ოჯახი. ჯგუფურ ურთიერთობებში უკვე გარკვეული წესრიგი არსებობდა, რომელშიც ერთი ჯგუფის ყველა მამაკაცს მეორე ჯგუფის ყველა ქალთან ურთიერთობის უფლება ეძლეოდა. წყვილადი ოჯახის, დუალურ-გვაროვნული ორგანიზაციისა და ეგზოგამიის (გვარის შიგნით ქორწინების აკრძალვა) წარმოშობა ემთხვევა ადამიანის ბიოსოციალურ ჩამოყალიბებას, გონიერი ადამიანის ე.წ. homo sapiens-ის შექმნას.“<sup>9</sup> მართალია, წყვილადი ოჯახი გულისხმობდა უკვე ერთი მამაკაცისა და ერთი ქალის შეუღლებას, მაგრამ არც ეს კავშირი იყო მტკიცე და ადვილად ირღვეოდა. წყვილადი ოჯახის ჩამოყალიბებაში დიდი როლი

7 Л. Морган; Древнее общество, М., 1936, гл. 220.

8 ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1978

9 Ю.И. Семенов. Как возникло человечество, М., 1966. гл. 509